

შუშუნა ფიქრიშვილი,  
რუსუღან საღინაძე,  
ეკა ღაღინაძე

## იმერული კილოს ლექსიკონისათვის

(ლ. უკლებას სალექსიკონო მასალა)

იმერული კილოს ლექსიკონისათვის თუ გრამატიკის საკითხების შესწავლას ჩვენში საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს, მაგრამ, რადგანაც ნებისმიერი დიალექტური ლექსიკონის ამოუწურავ საგანძურში ყოველთვისაა საგულვებელი (დავანებული) ბევრი ისეთი სიტყვა-გამოთქმა, რომლებიც ჯერ კიდევ რჩება სპეციალისტთა ყურადღების მიღმა და რომლებიც დროთა განმავლობაში მათი აქტიურად მომხმარებელი ინდივიდების ფიზიკურად არყოფნის შემთხვევაში შეიძლება თანდათან მიეცეს დავიწყებას და ბოლოს უკვალოდაც გაქრეს ენობრივი არეალიდან, ამდენად, ცხადია, ყოველთვის იქნება საშური და ფასეული დიალექტური მეტყველების გამოწვლილვითი კვლევა, ახალ-ახალი სალექსიკონო მასალის სისტემატური შეკრება-გამომზეურება და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა. გარდა ამისა, კუთხური მეტყველების თვისობრიობის გამო მასში თავჩენილ თავისებურებათა ამომწურავი მოძიება-აღნუსხვა ბუნებრივად შეუძლებელია, ვინაიდან დიალექტის მომხმარებელი კოლექტივი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, არა მხოლოდ იმახსოვრებს (ინახავს) მემკვიდრეობით გადმოცემულ ლექსიკურ ფონდს, არამედ თავადაც ქმნის ახალ ერთეულებს მისთვის დამახასიათებელი ყოფითი თუ სამეურნეო სიტუაციების მიხედვით. შესაბამისად, ძველი და ახალი ნიმუშების თავისებურებათა ერთობლიობა კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამა თუ იმ კუთხის მეტყველებას, რომლის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ერთი კონკრეტული დიალექტის, ისე მთლიანად ენის ისტორიული თუ თანამედროვე ვითარების კვლევისათვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ლეილა უკლებას<sup>1</sup> მიერ ბაღდათის რაიონის სოფელ როხის მეტყველების მიხედვით წლების მანძილზე შეკრებილი სალექსიკონო მასალა, რომელიც ამჟამად თავმოყრილია მისივე წიგნში „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (თბ., 2010 წ.).

სალექსიკონო მასალაში შეტანილია 1700-მდე სიტყვა-სტატია. ამათგან ძირითად ნაწილს ახლავს განმარტება და შესაბამისი კონტექსტი. ერთი ნაწილი

<sup>1</sup> leila ukleba muSaobda quTaisis pedagogiuri institutis qarTuli enis kaTedris maswavleblad. igi ikvlevda imeruli dialeqtis leqsikur saganZurs; iwerda imeruli metyvelebisaTvis damaxasiaTebel sityva-gamoTqmebs. samwuxarod, q-n leilas sicocxleSi ar dascalda Segrovebuli masalis dabeWdva; ukurnebeli seniT gardaicvala da wignis gamocemis survilic imierSi Tan gaiyola. Cven Tavi movuyareT l. uklebas mier Caweril leqsikur erTeulebs, agreTve sxva gamouqveynebul da gamoqveynebul Sromebs da erT wignSi gavaerTianeT. amiT, erTi mxriv, pativi mivageT q-ni leilas xsovnas, xolo, meore mxriv, samecniero sazogadoebisaTvis xelmisawvdomi gavxadeT imerulis axali saleqsikono masala.

განმარტებულია, მაგრამ არ ერთვის საილუსტრაციო მაგალითი. ამათ გარდა, აქვეა წარმოდგენილი 160-მდე სალექსიკონო ერთეული განმარტებისა და კონტექსტის გარეშე. მიუხედავად ამისა, ეს მასალაც არის შეტანილი წიგნში, როგორც საანალიზო მეტყველებისათვის ნიშანდობლივი სიტყვები, რომლებიც მომავალში შეიძლება განიმარტოს სხვა დიალექტების მეშვეობით ან კიდევ ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით.

აქვე შევნიშნავთ, რომ სალექსიკონო მასალას არ ახლავს ინფორმატორებისაგან წინასწარ შეთანხმებით ჩაწერილი ტექსტები (ზღაპრები, ლექსები თუ სხვა სახის გადმოცემები). ფაქტობრივად ლექსიკონში წარმოდგენილია ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვებით აღნუსხული ფრაზები. ჩანს, ავტორისათვის ძირითადი რესპონდენტები არიან სოფელ როხის მკვიდრნი: ბებია, დედა, ნათესავ-ახლობლები, მეზობლები — მეტწილად ქალები მათთვის დამახასიათებელი ლექსიკონის მრავალფეროვნებით.

საანალიზო მასალა დალაგებულია ტრადიციული წესით; ზმნური ერთეულები წარმოდგენილია აწმყო-მყოფადის მესამე პირის ფორმით (იშვიათად დასტურდება მეორე პირის ფორმითაც); ყველგან დაცულია სიტყვა-სტატიის ფონეტიკური ბგერწერაც.

საგულისხმოა, რომ ერთი შეხედვით ამ მცირე მოცულობის ლექსიკონში დადასტურდა საკმაოდ საინტერესო მასალა: ბევრი ახალი სიტყვა თუ გამოთქმა, ფრაზეოლოგიზმები და გრამატიკული ფორმები (შესაბამისი საილუსტრაციო ნიმუშებით), რომლებიც უთუოდ არის ფასეული და საყურადღებო როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

წიგნში წარმოდგენილი მასალა, ლექსიკონებთან<sup>2</sup> შედარება-შეჯერების საფუძველზე, შეიძლება დაიყოს რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფად:

1. სიტყვები, რომლებიც შემოწმებულ ლექსიკონებში არ დადასტურდა:

**ალეშკერებული** — ლამაზად ზეაწეული წარბები, გადარკალული.

**ალეშკერებული** აქ წარბები ჰემ გოგოს.

**ამოუტლიაღვებს** — ლუკმას ბარაქიანად ამოუწებს წვენიში. ისთე

**ამოუტლიაღვებს** ლომს წვენიში, ორ ლუკმაზე ჩაყლაპავს.

<sup>2</sup> მ. ალაიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938; მ. ალაიძე, ოკრიბული ლექსიკონი: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1950-1951; მ. ალაიძე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1955; მ. ალაიძე, ქართული დიალექტური ლექსიკონიდან: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, 1962; ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912; პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976; ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., ტ. I - 1991, ტ. II - 1993; ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936; თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979; ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქესს, III, თბ., 1963; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტტ. I-VIII, თბ., 1950-1964; ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984; ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული, თბ., 2008; გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938; მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი: პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, 1941. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974; ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი; ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938, პ. ჯაჭანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX-1949, ტ. X-1950-1951; პ. ჯაჭანიძე, მასალები გურული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX - 1949, ტ. X - 1950-1951; პ. ჯაჭანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, 1957.

**აშლაპუნებს** — გაუჩერებლად ლაპარაკობს.

**გამობერბეტებული** — გამოჩერჩეტებული.

**გამოჩხაკული** (თვალეები) — ჭრელი ან ღია ფერის თვალეები. *ჩვენ ბოვშეს პატაროობისას გამოჩხაკული თვალეები ქონდა, ამიტომ დავატყვი ჩხაკუნია.*

**გარეიქოტა** — გამოამინდდა, მზემ გამოანათა. *დილას ძაან დოუშვა წუმამ, მარა ნაშუადღევს გარეიქოტა.*

**გუნქალა/ნაგუნქალა** — მოზრდილი ნაჭერი. *კაი გუნქალა ხორცი მივეცი, მარა მაინც არაა ყმაყოფილი.*

**ეზურგულება** — ნაკლი აქვს. *ყველაფრათ კაი გოგოა, მარა ცოტათი ტუჩი ეზურგულება.*

**ეპატყუცება/ეფორსება** — ეთილისმება, ეფარისევლება.

**იქიოტებს** — გამოიდარებს, მზე გამოანათებს.

**იქლურცება** — ჩუმად ტირის. *ძაან შემეცოდა საწყალი ბოვშე, ჩუმად იქლურცებოდა, გული მომიქვტა.*

**კაკაურობს** — გამუდმებით მღერის ან ბევრს კითხულობს ხმამაღლა. *გადოუშლია წიგნი და კაკაურობს; თელი დღე ჯის და მღერის, კაკაურობს.*

**კლუკავს** (თვალებს) — კეკლუცობს და თვალებს გამომწვევად აკვესებს. *ლელაია ემძიმება დედომიწას (იხ.), კლუკავს თვალებს და ერთ ამბავშია.*

**ჟიჟმარიტობს** — წვალობს, ეძინება, მაგრამ ვერ იძინებს. *ეს ბოვში ჟიჟმარიტობს რაცხა, ერთი კარგად ვერ დაიძინა.*

**ჟუკლიტინებს** — ცდილობს გასაღებით გააღოს კარი. *ჟუკლიტინე, ჟუკლიტინე, კლიტე გავტეხე.*

**ჟსამარა** — გადატ. გაჩუმდა, არაფერი თქვა, საიდუმლო შეუნახა.

**ჟშოქშოქებს** — მსხვილად, ფართო თვლებით ქსოვს.

**ქოთილარეს** — ცუდი სუნი ასდის.

**ცისქნობამდის** — ცის სიმაღლემდე; გადატ. მეტისმეტად. *ჩემი შვილი მე ცისქნობამდის მიყვარს.*

**ჭობნის** — კერავს...

2. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სხვა ლექსიკონებშიცაა დამოწმებული, მაგრამ განსხვავებულია სემანტიკით (ზოგიერთი — ფორმითაც):

**ააგუნდავებს** — გადატ. თავის ნებაზე ატრიალებს, ათამაშებს. *კატუა ცომს ლამაზათ ააგუნდავებს და კეცზე დააჯენს; იმდენი ააგუნდავა ბალანა, შემეშინდა, რამე არ მეიტეხოს-თქვა. შდრ.: ააგუნდავებს — გუნდებად გამოიყვანს, — დაამრგვალებს (ქეგლ).*

**აჯილდა** — გადატ. მოუღლეელი. *ნამდვილი აჯილდაა, მისი მოღლა არ იქნა. შდრ.: აჯილდა — ცხენის კურატი (საბა); აჯილდა (იმერ.) დაუკოდავი ცხენი, // გადატ. მეტად თამამი (ბ. გაჩეჩ.); აჯილდა (კახ.) — გადატ. ქალაბიჭა (ალ. ღლ.); აჯილდა — დაუკოდავი ულაცი ცხენი (ქეგლ).*

**ბლაღავი** — კუდიანი, ეშმაკი, უწმინდური სული. *ეშმაკები და ბლაღავეები დეიწვენ ცეცხლში, სადაც იყონ. შდრ.: ბლაღა — წაუბილწვა, შეურაცხყოფა (ქეგლ).*

**გამფრინვალე** — სამიჯნურო საქმეებში დაოსტატებული ქალი. *ნუ იტყვი, ერთი გოგო ყავთ და იგიც გამფრინვალეა. შდრ. გურ.: გამფრინვალე ჩიტი*

— საფრენად მომზადებული (გ. შარაშ.); **გამფრინვალე ტურა** — ჯადოქარი (ნ. შარაშ.).

**ზამპილო** — დაცემული, ამოუსვლელი ცომეული. დედა, რა **ზამპილო** გამევიდა ეს კექსი. შდრ.: **ზაპილო** — სნეული, უღონო (საბა); **ზაპა** (გურ.) — ხორცვანი, მძიმე ტანის ადამიანი (გ. შარაშ.); **ზამპალა** (იმერ.) — მსუქანი, გავსებული (ქ. ძოწ.).

**ლუსკუმი** — ძნელად მისაგნები საგანგებო ადგილი. *შენახვა კი ქთხოვე, მარა სად ლუსკუმში წვილე.* შდრ.: **ლუსკუმა** — მაღალი საფლავი (საბა); **ლუსკუმა** (ლექს.) — ძლიერ ბნელი, წკვარამი (მ. ჩიქ.); **ლუსკუმა** (გურ.) — ტყე ძლიერ დაბურული, გაუვალი ტყე (პ. ჯაჯან.); **ლუსკუმი** (იმერ.) — ძალიან ბნელი, დაბურული, გაუვალი (პ. ჯაჯან.); **ლუსკუმი 1** — ლუსკუმი ღამე „ბნელი ღამე (ი. ჭყ.); **ლუსკუმი 2** — კუთხ. (მოხვევ.) გამაგრებული ყინული; **ლუსკუმი 1** — სამარხი ყუთი, კუბო. // ზანდუკი, კიდობანი. **ლუსკუმა 2** — კუთხ (გურ.) იხ. ლუსკუმი 2 (ქეგლ.).

**მოფარცხავს** — გადატ. მიედ-მოედება (საუბრის დროს). *ხელამპრია რო ტყუილებს მოფარცხავდა, ან ქე სად იგონებდა იმდონს.* შდრ.: **ფარცხავს** — 1. ფარცხით ხნულს აფხვიერებს (და თესლს მიწით ფარავს). 2. ჭეჭილში ფარცხს მოატარებს ადრე ამოსული სარეველა ბალახის მოსათხრელად, — მარგალავს (ქეგლ.).

**ქიფცი/ქიფსი** — ხიწვი. გადატ. ნაკლი. *მასტავლებელმა მითხრა, კაი გოგოა შენი შეილი, მარა ოთხი ქიფცი (ორი) გამოყვაო.* შდრ.: **ქიფსარუა** (ქვ. იმერ., რაჭ.) — ორკბილა (ა. მაყ.) (ალ. ღლ.).

**ლიჯი-ლიჯი** — ერთი და იმავეს ჩიჩინი. *მომწყინდა ამდენი ლიჯი-ლიჯი.* შდრ.: **ლიჯლიჯი** — კუთხ. (ქართლ., ქიზ.) — უთავბოლო უსაგნო ლაპარაკი და სიცილი (ქეგლ.); **ლიჯინი** — თავმომაბეზრებელი თხოვნა-ვედრება (ქეგლ.); **ლინჯილი** — ხანგრძლივი მუდარა, თხოვნა, ლინჯილი (ალ. ღლ.).

**წამწათხავს** — წათოვს წყლიანს. *წუხელი თოული არ დოუღვია, მარა წოუწათხია.* შდრ.: **წათხი** — მლაშე ბალღამი (საბა); **წათხი** — ყველის შესანახად მომზადებული მარილიანი შრატის (ან წყალი), — წაკი (ქეგლ.).

**ხინცალი** — აცმა. შდრ.: **ხინცოლია** (იმერ.) — აკილო (ი. ქავთ.); **ხინცლა** (გურ.) — აკილო (ალ. ღლ.); **ხინცოლე/ხინცოლიე** (იმერ.) — ასხმულა (ნ. შარაშ.); **ხინცელი** (გურ.) — ჩირის, ხახვის და მისთ. ასხმულა (ქეგლ.).

3. სალექსიკონო მასალაში საკმაო რაოდენობით დასტურდება გრამატიკული ცვლილებით მიღებული ახალი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოაჩენენ ამ სოფლის მეტყველების ზოგად სახეს. მაგალითად:

**ანგროვს** — აგროვებს.

**აქნამდი/აქმამდი/აქობამდი** — აქამდე, ამდენ ხანს. *სად იყავი აქნამდი?* შდრ.: **აქნამდი** (გურ.) — აქამდის (პ. ჯაჯან.); **აქობამდი** (იმერ.) — აქამდი (ქ. ძოწ.); **აქნობამდი** (ლექს.) — აქამდის, ამ დრომდის (ალ. ღლ.); **ა/იქობამდი** (იმერ.) — ა/იქამდე (ნ. შარაშ.).

**აყვენ** — აქვთ. რა საქმეები **აყვენ** ამდენი გოუთავებელი. შდრ.: **აქყე** (იმერ.) — აქვთ (ქ. ძოწ.); **აყვე** (ლექს., რაჭ.) — აქვს-ყე, ე.ი. აქვს მას ისინი (ალ. ღლ.).

**გეინძრიე** — გაინძერი. *გეინძრიე, გოგო, რავა დამჯდარხარ ფეთხუმივით.*

**პაჩანდური** — პანჩური.

**ქეკი** — აკი.

წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით საინტერესო ჩანს მასდარის -ილ სუფიქსიანი წარმოების ნიმუშები: **ძებილი** (ძებნა) და **ცემილი** (ცემა): არაფელ დღეს შინ არ ვარ, დამიწყებენ **ძებილსაო**, როცა ხელში ჩამიგდებენ, დამიწყებენ **ცემილსაო**. მსგავსი ფორმები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც. მაგალითად: ზიდილი „ზიდვა“, ყეფილი „ყეფა“ (კახ.); ძებილი „ძებნა“, ხვეწილი „ხვეწნა“ (რაჭ.); მზადილი „მზადება“, სესხილი „სესხება“ (გურ.); ხვეწილი „ხვეწნა“, ძებილი „ძებნა“, ყეფილი „ყეფა“ (იმერ.)...

4. სტრუქტურულ-სემანტიკურად საინტერესო ჩანს, აგრეთვე, ხატოვანი გამონათქვამები. აქ ნიშანდობლივია არა მხოლოდ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიუხვე, არამედ მათი სინონიმური ცალეების პოვნეობაც:

**აგორებული ქვა** — ქუჩა-ქუჩა მოსიარულე ადამიანი.

**ამოკეკა ტვინი** — ბევრი ლაპარაკით შეაწუხა.

**ბურღავალას იძახის** — არხეინადაა, არაფერი ედარდება, მხიარულობს. *დედამთლიც ამისთანა უნდა, ყველაფერს თავად აკეთებს, რძალი კი ბურღავალას იძახის.*

**ბუსთავის სამარილე** — მეტსახელი, გასაჯავრებელი გამოთქმა. *შე ბუსთავის სამარილე, მოდი ჩემთან.*

**გამთქნარებიებს სულს** — სულს ამოხდის.

**გააჩიკინებს ფეხებს/გააპაწაწინებს ფეხებს/გააჭიჭინებს ფეხებს** — გული მოუვა, გაბრაზდება; ვერაფერზე ვერ დაიყოლიებ. *ძან თავნება ბოვშია, თუ მოუვიდა გული, რო გააჩიკინებს ფეხებს, ვერაფელს მოუხერხებ; ისთე გააჭიჭინა ფეხები, ვერაფელს დიდებით ვერ დევიყოლიე.*

**გედეიდრო თავზე ბაწარი** — საქმე თავიდან აიცილა, საქმეს თავი მოარიდა. *ირაიამ თუ გედეიდრო თავზე ბაწარი, მერე აქით აღარ მოგხედავს.*

**დანა აელესება გვერდზე** — ძალიან მსუქნადაა.

**დამწვარ სპიჩკას არ გეიმეტებს** — ძალიან ძუნწია. *მაგი ისეთი უბედურია, დამწვარ სპიჩკას არ გეიმეტებს.*

**ემძიმება დედომიწას** — ზედმეტად მოსწონს თავი, სხვაზე მეტობს. *ლელაია ემძიმება დედომიწას, კლუკავს თვალებს და ერთ ამბავშია.*

**ენით წარბებს ისწორებს/ენით ზურგს იფხანს** — ენაგრძელია, ბევრს ლაპარაკობს.

**მთის ჩიტი მთას შეაკვდა** — სადაც დაიბადა, იქ უნდა მოკვდეს. *სადაც დეიბადე, გეიზარდე, ახალგაზრდობა გაატარე, ყველაფერს გერჩიოს. ხო გაგიგონია: მთის ჩიტი მთას შეაკვტაო.*

**მიღვა თავი** — მოკვდა. *ველარ გაძლო მაგათ ხელში და მიღვა თავი.*

**საფჩხილე არ ამოუვიდეს** — სული არ წაუვიდეს. *ჰა, გოგო, მოკიდე ხელი, შეჭამე, საფჩხილე არ ამოგივიდეს.* *შდრ.: საფჩხილე* (გურ.) — ძროხის თვალის ავადმყოფობა (ფრჩხილის მსგავსად ამოუვა თვალის კილოში) (გ. შარაშ.); *სანჩხილე* (გურ.) — საქონლის თვალის ავადმყოფობა (პ. ჯაჯან.).

**უჭინჭილო საჭინჭილოთ** — გაკეთებული საქმე ხელმეორედ გასაკეთებელი გახდა.

**ფარჩხაზე გადასაკიდებელი/ყვავის შაშხივითაა/ნაბტკენივითაა** — მეტისმეტად გამხდარია.



**ფეხები შეეხრუკა** — ფეხი არ გაანძრია, არ წავიდა. არ მოვიდა, რა **ფეხები შეეხრუკა** ნეტაი.

**ქვას უკბინა** — გაჩუმდა, არაფერი თქვა.

**ძვალი აქ მოტეხილი** (თოვლს) — თოვლი დნება, ძალა აღარ აქვს, მალე წავა. შდრ.: **ძვალმოტეხილი** (იმერ.) — წყალი ოდნავ შემთბარი, ნელთბილი წყალი (ნ. შარაშ.).

5. ლ. უკლებას მიერ მოძიებულ მასალაში წარმოდგენილია წყევლის ფორმულებიც (რომლის ავტორებად ქალები ივარაუდება). მაგალითად:

**ამოგივარდა მასაპი (ჯილაგი); ამოწყდა შენი ნაკიაპი (ჯიში); არ იქნა შენი დოვლათი; გადაბარსალდით; გამწყვეტი დეგერიათ; გარამწვანილდი; გასაპერანგებელი; გაწყვა შენი სინსილა; გეეჭრა სამარა; გეიარე ოხრის კარი; დეგექცა თავი თავდალმა; დოუგრილდა გვერდები; ექცა შავად; უი შენ და სნაკვი...**

6. საანალიზო მასალების მიხედვით ხელშესახებია სიტყვაწარმოების პროდუქტიულობაც. დავიმოწმებთ ზოგიერთ მაგალითს:

**ბუღანდარა** (ქათამი) — სხვებისაგან გამორჩეული ქათამი, ცალკე დადის და სულ იჩხრიკება. **ბუღანდარა ქათამი ველარ დევიანხე, ნეტაი სად წევიდა.** შდრ.: **ბუღარაობა** (ქართლ.) — უმიზნო საქმიანობა შინ, უმიზნო ფაცა-ფუცი, ფუსფუსი; **ბუღარაობა** (კახ.) — ბავშვის თავისთვის თამაში, ჩუმიად გართობა (ალ. ლლ.); **ბუღარობა** (იმერ.) — უსაქმოდ ტრიალი; ძებნა, ჩხრეკა უაზროდ, დაბნეულად (პ. გაჩეჩ.); **ბუღარობა** (ფშ.) — ბარტყების გამოსაჩეკად კვერცხებზე ჯდომა (ბუღეში); ბარტყების გამოჩეკა; **ბუღარაობს** — 1. მიწაში (ბალახში) ჩამჯდარი ფრინველი იქექება (ტანს ისუფთავებს ან საჭმელს ეძებს). 2. გადატ. სულ ერთ ადგილასაა, ფეხს არ იცვლის, ერთ ადგილს არ შორდება (ქეგლ); **ბუღაროფს** (იმერ.) — იგივეა, რაც ბუჯაროფს. **ბუჯაროფს** — იქექება, ეძებს რამე (ქ. ძოწ.).

**გულდადარა/გულღანდარა** — ავი, შურიანი, გულჩახვეული. რა ჩუმალა და **გულდადარაა** ჟორაია, სულ ჩვენი ეზოსკენ აქ თვალები მოჩერებული, რას ეძებს აქეთ ნეტაი.

**დანამკვლელობია** — ჩხუბი დაუზოგავად, სასიკვდილოდ გამეტებით.

**ნაპწანაპწა** — ნაწილ-ნაწილ.

**ულანმალანი** — უსწორმასწორო.

**შიშტრიბუშტა/შიშტრიბუშტა** — მოუხერხებელი, მოუქნელი. დედა, რა **შიშტრიბუშტაა** ეს გოგო. შდრ.: **შიშტრიბუქა** (გურ.) — ცეტი და თამამი ქალი (პ. ჯაჯან.); **შიშტრიბუქაი** (გურ.) — უხეში მიხვრა-მოხვრის თამამი და ცეტი ქალი (ალ. ლლ.).

**შოქშოქობს** — დაუკვირვებლად, თანაც სწრაფად საუბრობს. შდრ.: **შოქშოქი** (რაჭ.) — იხ. ბოქბოქი. **ბოქბოქი** — უშნოთ ხმამაღლა ლაპარაკი, შოქშოქი (ვ. ბერ.); **შოქშოქი** (გურ., რაჭ.) — ენის ბორძიკი (ალ. ლლ.).

**ჩანთაჩუნთით** (დადის) — უსწორმასწოროდ დადის. შდრ.: **ჩანთვრა** (იმერ.) — მძიმე ტვირთის ზიდვა ძლივძლივობით (ი. ქავთ.).

**ჩუნდურჩუნდური** — უსწორმასწორო სიარული. შდრ.: **ჩუნდური** (ქიზიყ.) — მუჯლუგუნის კვრა; გადატ. ჩუჩხური, ჩაცეიება, არ მოშვება (ალ. ლლ.).

**ძაღლდორობია** — განუკითხაობა, უწესრიგობა, არეულ-დარეულობა.

სალექსიკონო მასალაში თვალსაჩინოა სინონიმური ფორმების სიუხვე. იგივე ითქმის მეტსახელებზე, საბავშვო თამაშობებზეც.

ლ. უკლებას ნაშრომის ეს მოკლე მიმოხილვა, ცხადია, სრულად ვერ წარმოდგენს სალექსიკონო მასალის საერთო მნიშვნელობა-ღირებულებას. ამჯერად ჩვენი მიზანია სპეციალისტებისათვის ცნობილი გავხადოთ იმერული დიალექტის შესწავლის კიდევ ერთი ახალი სანდო წყაროს არსებობა. ვიმედოვნებთ, რომ მასში თავმოყრილი მასალა, განსაკუთრებით კი ზოგიერთი საინტერესო ზმნური თუ სახელური ფორმა, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ ცოცხალი მეტყველებისა და, ზოგადად, ქართული ენის სიტყვათქმნადობის შესაძლებლობებს, დროულად მიიპყრობს მკვლევართა ყურადღებას და აქტიურად ჩაერთვება სამეცნიერო სისტემაში.

**ZHUZHUNA PEIKRISHVILI, RUSUDAN SAGHINADZE,  
EKA DADIANI**

**FOR THE VOKABULARY OF IMERETIAN DIALECT  
(MATERIAL OF L. UKLEBA'S DICTIONARY)**

Recording and collecting dialect materials have great importance for the comprehensive study of a dialect and of modern or historical conditions of the language.

This paper analyses dialect materials (Imeretian vocabulary, word-forms and phrases, total 1700 units) compiled by Leila Ukleba, presently deceased colleague from the Chair of the Georgian Language at ATSU. The scholar conducted exhaustive study of the speech of one village of Rokhi, Baghdadi region.

We have collated the given materials with the existing explanatory and dialect dictionaries and sorted them out into the following groups:

a. lexical units not found in the dictionaries: *atchpavs, kankocha, zhizhmaritobs, kotilares,..*

b. words that have different meanings than those give in the dictionaries: *aagundavebs, gamochkhakuli, tsamtsatkhavs..*

c. phrases used as figures of speech: *burdavalas idzakhis, bustavis samarile, enit tsarbebs istsorebs, saprchkhile ar amouvides...*

Materials compiled by Leila Ukleba present an interest for the study of both the Imeretian dialect and of the words of the literary Georgian language.